ქართული ეროვნული იდენტობის მარკერები

ნინო გომართელი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის,
მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი

ნინო ზაალიშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის,
მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი

https://doi.org/10.52340/gbsab.2025.55.03

საკვანძო სიტყვები: ემიგრაცია, მარკერები, ეროვნული იდენტობა, დიასპორა, ისტორიული მეხსიერება

შესავალი.

ემიგრაცია ყველა ხალხისთვის დიდი და მტკივნეული პრობლემაა, მით უმეტეს, ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა. ემიგრაცია, როგორც წესი, ყოველთვის ჩვენი ქვეყნის ისტორიულ ბედუკუღმართობასთან იყო დაკავშირებული, რის გამოც ქართველი ხშირად შორდებოდა სამშობლოს, მაგრამ მხოლოდ ფიზიკურად, სულითა და გონებით კვლავ აქ რჩებოდა, წუხდა ერის წუხილის გამო, ულხინდა სამშობლოს სიხარული, მაგრამ პიროვნულ ბედნიერებას იშვიათად თუ არგუნებდა ბედი [4, 45].

დღევანდელ მსოფლიოში სულ უფრო და უფრო ხელშესახები ფაქტორი ხდება ადამიანთა მობილობა, ეთნიკური ერთობების (დიასპორები) სხვადასხვა ადგილებში დამკვიდრება და ამის შედეგად წარმოქმნილი სასაზღვრო კულტურები, ჰიბრიდული იდენტობები და ტრანსნაციონალიზმი [5, 45]. უკანასკნელ პერიოდში ქართველთა მობილობამ არნახულ მასშტაბს მიაღწია. მეოცე საუკუნის განმავლობაში საქართველომ რამდენიმე ემიგრაციული ტალღა გადაიტანა. ოფიციალური მონაცემებით, სსრკ-ს დაშლამდე ქართველთა 97% საკუთარ სამშობლოში ცხოვრობდა. დღეისათვის, სხვადასხვა მონაცემებით, საქართველოდან მილიონზე მეტი ადამიანი გასულია, რაც ჩვენნაირი პატარა ქვეყნისთვის ძალზე დიდი რაოდენობაა.

ძირითადი ნაწილი

ქართულ იდენტობას არსებობის ხანგრძლივი ისტორია აქვს. ქართველი ერი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე განგრძობადი ერია, ანუ ერი, რომელსაც ფესვები შორეულ წარსულში ეძებნება [6, 95]. ქართველისათვის მშობლიური ქვეყნის დატოვება დიდ სულიერ ტკივილთან იყო დაკავშირებული. გავიხსენოთ სასიქადულო პოეტი დავით გურამიშვილი, რომელიც ცხოვრების მიწურულს, მარტოსულის მწარე ხვედრით დამძიმებული, სამშობლოდან შორს, უკრაინაში, მირგოროდის მახლობლად, სოფელ ზუბოვკაში წერდა სამშობლოს უდიდესი სიყვარულით გამთბარ საოცარ სტრიქონებს: „...გეაჯები, ნუ გამწირავ, მოვჰკვდე, შენ კერძ დამმარხეო...“. ასეთივე ვედრებით მიმართა დიდმა აკაკიმ თავის სათაყვანებელ მშობელ ქვეყანას: „დედაშვილობამ, ბევრს არ გთხოვ, შენს მიწას მიმაბარეო“. სწორედ ბედუკუღმართობა თუ მოწყვეტდა ქართველს თავის სამშობლოს, მაგრამ

უცხო მიწა-წყალზე იგი ვერასოდეს ხარობდა და მისი უკანასკნელი სიტყვები იყო, საუკუნო განსასვენებელი მშობლიურ მიწაში ეპოვა. ალბათ, ამიტომაც იყო, რომ ქართველი კაცი ვერ ცვლიდა თავის ქვეყანას „სხვა ქვეყნის სამოთხეზედა“.

იშვიათია ისიც, რომ არცერთი ერის წარმომადგენელი არ ცხოვრობდა ისე მთლიანად და თავმოყრილად თავის სამშობლოში, როგორც ქართველი, ეს კი, უპირველეს ყოვლისა, განპირობებული იყო იმით, რომ ქართველ კაცს მიწათმოქმედების მაღალი კულტურა ჰქონდა და „ადგილის დედის“ სიყვარული ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი. აღსანიშნავია ისიც, რომ მთელი თაობები სისხლის ფასად იცავდნენ და ინარჩუნებდნენ თავიანთ მიწა-წყალს. საუკუნეთა განმავლობაში ჩვენმა ხალხმა უდიდესი შრომითა და გარჯით შექმნა დიდი მატერიალური და სულიერი სიმდიდრე, რამაც კიდევ უფრო მიაჯაჭვა მშობლიურ კუთხეს [5, 46].

განვიხილოთ ეროვნული იდენტობის მარკერები ქართულ საზოგადოებაში.

ტერმინი „იდენტობა“ მომდინარეობს ლათინური სიტყვებიდან idem – „იგივე“, identitas – „იგივეობა“ და აღწერს პიროვნების კონცეფციებს, აღქმებს საკუთარი თავის ან ჯგუფის შესახებ. იდენტობა პიროვნების რომელიმე ჯგუფისადმი ან სოციალური კატეგორიისადმი მიკუთვნებულობის განსაზღვრისათვის მთავარი მარკერია. იდენტობა რთული კონსტრუქტია, რომელიც სოციალიზაციის პროცესში ყალიბდება. სოციალიზაციის დროს ინდივიდი იღებს საზოგადოებისათვის მისაღებ ნორმებსა და ღირებულებებს, რომელშიც ცხოვრობს. დროთა განმავლობაში ხდება ამ ნორმების გათავისება და იდენტობის განუყოფელ ნაწილად ჩამოყალიბება. შესაბამისად, იდენტობის ფორმირებაზე ასოციალიზაციას უდიდესი გავლენა აქვს. სპეციალურ სოციოლოგიურ თუ ანთროპოლოგიურ ლიტერატურაში ეს სიტყვა გამოიყენება ადამიანთა საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ერთ-ერთი უმთავრესი მიმართების გამოსახატავად. კერძოდ, იგი მიუთითებს ჯგუფთან ინდივიდის კავშირის, ანუ ამა თუ იმ ჯგუფის წევრობის თვითცნობიერებას ანუ ვითარებას, როცა გარკვეული მარკერების (ნიშნების) საფუძველზე ადამიანი თავს ერთობის ნაწილად მოიაზრებს. რადგან თეორიულად დასაშვებია და რეალურადაც არსებობს ამგვარ მარკერთა კომპლექსების ძალიან დიდი მრავალფეროვნება, შესაბამისად, მათ საფუძველზე წარმოქმნილი ადამიანთა იდენტობანიც მრავალგვარია.

ნაციონალური კვლევის ერთ-ერთი დამფუძნებელი ენტონი დუგლას სმიტი თავის ნაშრომში „ნაციონალური იდენტობა“ გამოყოფს ეროვნული იდენტობის 5 ფუნდამენტურ მახასიათებელს: ისტორიული ტერიტორია, ანუ სამშობლო; საერთო მითები და ისტორიული მეხსიერება; საერთო საზოგადოებრივი მასკულტურა; საერთო სამართლებრივი უფლება-მოვალეობანი; საერთო ეკონომიკა [1, 41-42]. ვფიქრობთ, სმიტის ჩამონათვალს უნდა დავამატოთ ენა და სარწმუნოება. ეროვნული იდენტობის მახასიათებლებად დარჩა ფაქტორები, როგორებიცაა რელიგია, ეროვნება, კულტურა და ისტორია.

ქართველთა ეროვნული იდენტობა ისტორიის მანძილზე ყალიბდებოდა. ქართველი ერი მიჩნეული იყო განსაკუთრებული მისიის მქონედ. მესიანიზმი იქცა ეროვნული თვითგადარჩენის, საკუთარი ღირსებისა და იმედის შენარჩუნების საუკეთესო საშუალებად.

ცენტრალური ევროპის ქვეყნებსა და ამერიკაში ძირითადად პოლიტიკური მოტივებით გახიზნულ ქართველ ემიგრანტთა სხვადასხვა ნაკადი (1921-1924 წ.წ., 1942-1945 წ.წ.) შედარებით ახალგაზრდაა და საუკუნეს ითვლის. უფრო ხანდაზმულია ქართული ემიგრაცია რუსეთში, თურქეთსა და ირანში XVI-XVII

საუკუნეებში. ქართველთა ემიგრაციის მნიშვნელოვანი პოპულაციები თურქეთსა და ირანში, ძირითადად ტერიტორიების გადანაწილების შედეგადაა შექმნილი. საქართველოს ტერიტორიის გარეთ მოხვედრილი ქართული კოლონიები ირანში, თურქეთში, რუსეთში მშობლიური ენისა და ტერიტორიების მიღმა დარჩენილი, ზოგჯერ კომფესიაშეცვლილი, ბუნებრივია, განიცდიდა ეთნიკურ ცვლილებებს, თუმცა ქართველთა ამ ნაკადების ეთნიკური თვითშეგნების არსებობა მაინც გრძნობდა საკუთარ მიკუთვნებულობას ისტორიულ სამშობლოში დარჩენილ ძირითად ეთნოსთან.

ცენტრალური ევროპის ქვეყნებში, შორეულ აღმოსავლეთში (მანჯურია), ამერიკაში ქართველ პოლიტიკურ ემიგრანტთა ნაკადები ერთდროულად, ერთი მიზნით გაემგზავრა და, შეძლებისდაგვარად კომპაქტურად განსახლდა. თანდათანობით გაჩნდა ძლიერი ქართული დიასპორები, რითაც უცხო მხარეში მეხსირებაში შემორჩენილ ნაცნობ, სამშობლოს მოგონებებით ნასაზრდოებ ილუზოლურ გარემოს იწყობდნენ, რითაც ქართული კერების სახით გარკვეულწილად იადვილებდნენ შეგუების, სოციალური ადაპტაციის მტკივნეულ პროცესს. ადაპტაციის საკითხის გარკვევისათვის, მიგრანტთა ეროვნული მეხსიერების სამყაროს ხარისხის დასადგენ თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს ქართველი ემიგრანტის ალექსანდრე შათირიშვილის ფსიქო-სოციოლოგიური ნარკვევი: „ერის რაობა და მშობლიური გრძნობა“, გამოცემული პარიზში 1962 წელს, სადაც ავტორი აღნიშნავს, რომ სამშობლოს ნატვრის გრძობის გაცნობიერება მოგვიანებით ხდება: „სამშობლოს ნატვრის აღნიშვნის დაგვიანება იმასაც მიეწერება, რომ თითოეული გრძნობის ფერმენტაცია სადღაც ქვენობიერისა და არაცნობიერის სფეროში სრულიად შეუმნევლად ვითარდება, მისი არსებობა ჩვენს თვალთაგან სრულიად დამალულია იმ დრომდე, ვიდრე მისი ევოლუცია არ დასრულდება. სამშობლოს მონატრების გრძნობა ორგვარ მოვლენათა რიგს მიეკუთვნება - სოციალურს და წმინდა ფსიქიკურს. უცხოეთში გადატყორცნილი საზოგადოების ფუნქციისათვის საჭირო არ არის, რომ მას აქ არაფერი ევალება და არც არაფერი მიეზღვება. სამშობლოს დაშორებული მთლიანად ვერ ეგუება უცხო საზოგადოების სტრუქტურას და მის კოლექტიურ ცნობიერებას. კონფლიქტი ადამიანს და უცხოეთს შორის იბადება სოციალურ სფეროში. ამას თან ერთვის ფსიქიკური კონფლიქტები, აფექტურ ქცევაში გამოვლენილი“ [6, 17]. აღნიშნული სოციალურ-ფსიქიკური ძვრები, თავის მხრივ, მოქმედებს ადაპტაციის მრავალსაფეხურიან პროცესზე, რაც უკვე თავს იჩენს ქართველ ემიგრანტთა განსახლების გეოგრაფიული არეალის შერჩევისას. ახალი გარემოს ბუნებრივ-კლიმატურ პირობებთან ადვილი შეგუების ფაქტორით შეიძლება აიხსნას ის, რომ ქართველთა განსახლებისას იმთავითვე შეიმჩნევა სამშობლოსთან მეტ-ნაკლებად მიმსგავსებული კლიმატური ზონების შერჩევის ცდა [1, 122].

ქართველების უცხოეთში განსახლების ქვეყნები (საფრანგეთი, ინგლისი, გერმანია, შვეიცარია, ბელგია და სხვ) მიგრანტთა ჩასახლების მომენტში ნაკლებად ზღუდავდნენ ემიგრაციის პროცესს, უფრო მეტიც, ცნობილია, რომ გერმანია და ინგლისი იმხანად მუშახელის მოზიდვის პოლიტიკას ეწეოდნენ, ე.ი. იცავდნენ ემიგრაციის მასტიმულირებელ რეჟიმს. ქართველები თავდაპირველად იმ ქვეყნებში მიემგზავრებოდნენ, რომლებთანაც დიპლომატიური ურთიერთობის ტრადიციები გააჩნდათ. ქართველი ემიგრაციის პირველი ნაკადი, ამ მხრივ, უკეთეს პირობებში აღმოჩნდა, ვინაიდან საფრანგეთმა, ინგლისმა და გერმანიამ მათგან de jure, de facto-დ ცნობილი დამოუკიდებელი პოლიტიკური სუბიექტის - საქართველოს წარმომადგენლობა სტუმრის სტატუსით მიიღო. ემიგრაციის შემდეგ

მეორე ნაკადზე, ბუნებრივია, იგი ვერ გავრცელდებოდა, რადგან საქართველოში იმ დროს ძალადობით მოსული პოლიტიკური ძალა - ბოლშევიკური პარტოკრატია იმყოფებოდა. ქართული ემიგრაციის შემდეგ მესამე ნაკადი, მეორე მსოფლიო ომის წლებში იძულებით გადაადგილებული სამხედრო ტყვეების სახით, სხვადასხვა შუალედური რგოლის გავლის შემდეგ ძირითადად არგენტინაში, ბრაზილიაში და ჩილეში დასახლდა. ეს ქვეყნები იმ დროისთვის ეკონომიკურად ნაკლებად დაწინაურებულნი იყვნენ, მაგრამ მათ კლიმატურ პირობებს ქართველები უკეთ ეგუებოდნენ. ამას ისიც ემატებოდა, რომ მუშახელის სიმცირის გამო ემიგრაციისადმი დამოკიდებულება ლოიალური იყო. ფსიქოლოგიური ადაპტაციისათვის უდავოდ დადებითი იყო ის ფაქტორი, რომ ამ ქვეყნებში მიგრანტს ისევე ექცეოდნენ, როგორც სოციუმის სხვა სრულუფლებიან წევრს.

2023 წელს საქართველოდან ემიგრაცია წინა წელთან შედარებით 95,6%-ით გაიზარდა. ქვეყანა 245 064 ადამიანმა დატოვა. 2012 წლიდან 2022 წლის ჩათვლით საქართველო დატოვა და უკან აღარ დაბრუნებულა 244 966 კაცი (საქსტატი).

განუხრელად იზრდება ახალი თაობის ადამიანთა მიგრაცია. ამის მიზეზი ეკონომიკურ ფაქტორებთან ერთად ფსიქოლოგიური ფაქტორიცაა. ახალგაზრდებში გაჩნდა პესიმისტური განწყობები. ახალი თაობის ადამიანებს სჭირდებათ იმედიანი, ოპტიმისტური გარემო უკეთესი მომავლისთვის. ახალგაზრდები ცვლილებების, პროგრესის, შექმნის, აშენების მომხრენი არიან.

ახალგაზრდების დიდი ნაწილი ქვეყნიდან გადის. მათ ნაცვლად კი სხვა ქვეყნებიდან უფრო მეტი მოქალაქე შემოდის (258 000 ადამიანი). ხატოვნად ეს იმას ჰგავს, ქვევრიდან ღვინო ამოვიღოთ და წყალი ჩავასხათ. ამით სითხის რაოდენობა არ შეიცვლება, მაგრამ მოხდება ღვინის გაწყალება, ანუ გაფუჭება. ქართული მოსახლეობის წილი მცირდება, რასაც გამოუსწორებელი შედეგები მოჰყვება. ჩვენ საქართველოს ყველა მოქალაქე ჩვენივე სამშობლოში გვჭირდება მისი აღმშენებლობის, განვითარების, სიძლიერის უზრუნველსაყოფად, წინააღმდეგ შემთხვევაში ქვეყნის მომავალი უდიდესი საფრთხის წინაშე აღმოჩნდება.

ჩვენი ქვეყნის და ქართველი ხალხის არსებობისა და მომავლისათვის ყველაზე დიდი საფრთხის შემცველი მისი დემოგრაფიული ვითარებაა - შობადობის შემცირება, სიკვდილიანობის მატება, მასობრივი ემიგრაცია... ეს ის ფაქტორებია, რომლებიც ყველაზე მეტად აყალიბებენ ქართველი ერის მილევად რეჟიმში გადაყვანის კონტურებს. სამწუხაროდ, დღეს ხელისუფლება არც ხელს უშლის და არც არაფერს აკეთებს იმისათვის, რომ გასული ხალხი ემიგრაციიდან დაბრუნდეს. საჭიროა, უცხოეთში გადახვეწილი ინტელექტუალური ძალის მოზიდვა, თუნდაც წახალისების ფორმით, წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველო მოაზროვნე ადამიანებს დაკარგავს, მოხდება „ტვინების გადინება“. სამწუხარო ფაქტია, რომ ამ გზით ჩვენი ახალგაზრდა თაობების იმაზე ბევრად მეტი წარმომადგენელი დავკარგეთ, ვიდრე მთელი 150 წლის განმავლობაში, ლეკიანობისა თუ „ტყვეთა სყიდვის“ პერიოდში. ბოლო 10 წლის განმავლობაში ქვეყნიდან გასული ქართველების რაოდენობა ბევრად მეტია, ვიდრე მეორე მსოფლიო ომში დაღუპულ თანამემამულეთა რიცხვი. ადრე ეს თუ იძულებით ხდებოდა, ახლა ნებაყოფლობით მიდიან... ყველაფერი ეს კატასტროფულად ამცირებს ქვეყნის დემოგრაფიულ პოტენციალს. „წმინდა ადგილი ცარიელი არ დარჩებაო“, ნათქვამია. თუ გვსურს, ჩვენი ქვეყანა ქართველი ერის თვითმყოფადობის სივრცედ დარჩეს, რაღაც უნდა ვიღონოთ. საჭიროა, ხელისუფლების მეტი ძალისხმევა, ჯანსაღი დემოგრაფიული პოლიტიკის განხორციელება, ახალგაზრდა თაობაში სამშობლოს სიყვარულის გაღვივება, ჩვენი ძირძველი ტრადიციების დაცვა, გაფრთხილება, ასევე მათი

თვითშეგნების ამაღლება.

დასკვნა

დღეს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში არსებობს ძლიერი ქართული დიასპორები, დიპლომატიურ-საზოგადოებრივი წარმომადგენლობები, სამრევლოები... ვფიქრობთ, საჭიროა ქართველთა დიასპორული იდენტობის განვითარებაც, რათა საზღვარგარეთ მოხვედრილი ქართული ეთნოსის ფრაგმენტები არ გაიბნეს, არ დაიკარგოს, ქართულმა დიასპორამ გარკვეული ფორმითა და ინტენსივობით საკუთარი კულტურის გავრცელება ქართული ეროვნული სახელმწიფოს მიღმაც მოახერხოს. დღეს არსებული ქართული დიაპორების ისტორია სხვადასხვა სახის კულტურულ და პოლიტიკურ აქტივობებს ითვლის. ამ აქტივობების უმეტესობა ორიენტირებულია დედასამშობლოზე. საჭიროა ქართული დიასპორული იდენტობის ჩამოყალიბების მთელი პროცესის შესწავლა, მათი გამოცდილების გაანალიზება და იმის გარკვევა, რამდენად არის გამოსადეგი მათი თვითშენახვის სტრატეგია და ტაქტიკა ქართული შემთხვევისათვის. აუცილებელია, კარგად იქნეს შესწავლილი თითოეული ქართული დიასპორა, მისი მიმართება მასპინძელი ქვეყნის დომინანტურ კულტურასთან, აგრეთვე სხვა დიასპორებთან და დედასამშობლოსთან. დიასპორული არსებობის განგრძობადობისათვის უნდა მოხდეს რწმენის, მშობლიური ენის, ისტორიული მეხსიერების შენარჩუნება, საზღვარგარეთ ქართული დიასპორების გაჩენა ქვეყანაში არსებული ძნელი ვითარების გარდა, განპირობებულია მსოფლიოში მიმდინარე რთული პროცესებითაც და ვფიქრობთ, მათგან ქართული სინამდვილის განცალკევება შეუძლებელია. საჭიროა საქართველოში უფრო მკაფიო პოლიტიკა ჩამოყალიბდეს დიასპორებთან ურთიერთობაში. მიგვაჩნია, რომ უნდა გაძლიერდეს თანამშრომლობა ქართულ დიასპორულ ორგანიზაციებთან, სათვისტომოებთან, სახელოვნებო ჯგუფებთან, ქართველოლოგიურ ცენტრებთან, უცხოეთში არსებულ სამრევლოებთან.

XXI საუკუნეში მხოლოდ ის ერები და სახელმწიფოები მიაღწევენ წარმატებას, რომელთაც შეუძლიათ წარსული, აწმყო და მომავალი ერთიან, უწყვეტ, განვითარებად კონტექსტად აქციონ და კაცობრიობის სამსახურში ჩადგნენ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე ი. სოციალურ-კულტურული ადაპტაციის პრობლემა და ქართული ემიგრაციის აქტუალური პრობლემები , იხ.: ჟურნ. „ახალი პარადიგმები“, N1, 1998, გვ. 120-125;
2. ავალიშვილი ზ. საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, მოგონებები, ნარკვევები, თბ., 1990;
3. გეგეშიძე მ. ეთნიკური კულტურა და ტრადიციები, თბ., 1975;
4. გოგიშვილი დ. ქართველთა ეროვნული იდენტობა, იხ.: ჟურნ. „კულტურათა დიალოგი და დიასპორა“, თბ., 2010, N3 გვ. 61-69;
5. გომართელი ნ. საქართველო და მსოფლიო პოლიტიკის აქტუალური საკითხები, თბ., 2021, გვ. 45-54;
6. თევზაძე გ. „ქართველი ერის დაბადება, იდენტობა და იდეოლოგია, ეროვნულობა და რელიგიურობა“

7. მიოლერი ი. ისტორიული მეხსიერება და ნაციონალური იდენტობა
8. ჩხარტიშვილი მ. ნაციონალური იდენტობა და დიასპორა, იხ.: ჟურნ. „კულტურათა დიალოგი და დიასპორა“, თბ., 2009, გვ. 95-100;
9. შათირიშვილი ალ. ერის რაობა და მშობლიური გრძნობა, პარიზი, 1962, იხ.: საქ. ლიტერატურისა და ხელოვნების სახელმწიფო არქივი, ფონდი N278, აღწ. 1. საქმე 60.

აბსტრაქტი

მიგრაციული პროცესები კაცობრიობის ჩამოყალიბების, განვითარებისა და არსებობის თანმხლები მოვლენაა და სათავეს უძველეს წარსულში იღებს. ძველი „ოიკუმენა“ და მასთან ერთად სამხრეთ კავკასიაც ადრიდანვე მოექცა კულტურული თუ ეთნოკულტურული გავლენების ქვეშ და განაპირობა რეგიონის განსაკუთრებულ, თვითმყოფად ეთნოკულტურულ არეალად ჩამოყალიბება.

საქართველოს საარქივო ფონდებში, ემიგრაციის მუზეუმში დაცული ემიგრაციული ეპისტოლარული მემკვიდრეობის შესწავლა-გაანალიზება საშუალებას გვაძლევს, ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ ქართული ემიგრაციის სულიერი ღირებულებების ორიენტაციებზე. მათთვის ძირითად ორიენტირს ეროვნულ კულტურასთან, მის ტრადიციებთან კავშირი წარმოადგენს, რაც, თავის მხრივ, უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ისტორიული მეხსიერების შენარჩუნებისათვის. ეთნიკური ტრადიციები მშობლიურ ენასთან ერთად არის ის მუხტი, რომელიც განსაზღვრავს ჩვენს ეროვნულ იდენტობას, ქართველთა თვითშეგნებას. ყოველივე ამის ნათელი დასტურია ქართული ემიგრაციის ღირსეულ წარმომადგენელთა სულიერი მემკვიდრეობა.

უკანასკნელ პერიოდში ემიგრაციის ბოლო თაობების სახით შეინიშნება ეთნოთვითშეგნების შესუსტება, რაც შერეული ქორწინებებისა და ემიგრაციის ხანდაზმულობის გამო ეთნომეხსიერების დაქვეითებით შეიძლება აიხსნას. ქართველ ემიგრანტთა უმრავლესობა წარმოადგენს უცხო გარემოში ასიმილირებულ მოქალაქეებს, რომელთაც ისტორიული სამშობლოს ხატი შორეული მოგონების სახითღა შემორჩენიათ. უნდა აღინიშნოს, რომ ქართველ ემიგრანტთა ბევრი შთამომავალი აღარ ფლობს მშობლიურ ენას. ის ფაქტი, რომ მშობლიური ენისა და ტერიტორიის მიღმა დარჩენილ, ზოგჯერ კონფესიაშეცვლილი მიგრანტის შეგნებაში ისტორიული მეხსიერების სიმტკიცე, უცხო გარემოსთან ბუნებრივი ასიმილაციის მიუხედავად, ზოგიერთ ეთნიკურად მყარ ფსიქოლოგიურ ნიშან-თვისებას ინარჩუნებს, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატება ქართული ემიგრაციის მემკვიდრეობითი თაობების ერთ ადგილზე დამკვიდრების ტენდენციაში. მიგრანტი ყოველთვის გრძნობს სხვადასხვა სახის ბარიერების არსებობას თავის თავსა და ადგილობრივ მკვიდრ მოსახლეს შორის, რასაც ემატება ამა თუ იმ ქვეყნის ხელისუფალთა მიერ ემიგრაციის შემზღუდველი რეჟიმის შემოღება, რამაც შესაძლოა, არასრულფასოვნების კომპლექსი გაუჩინოს მიგრანტს, რითაც აიხსნება ისტორიული გვარის უცხოურ ქარგაზე გადაკეთების არც თუ იშვიათი შემთხვევები. ქართველ მიგრანტთათვის ყველაზე რთული დასაძლევია ჯერ ფსიქოლოგიური, შემდგომ კი მატერიალური ფაქტორი. მიგრანტთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ გარკვეული დროით ეთნიკური თავისებურებების შენარჩუნება ნაწილობრივ შესაძლებელია, თუ იქნება ისტორიულ სამშობლოსთან უწყვეტი კავშირები.

MARKERS OF GEORGIAN NATIONAL IDENTITY

Nino Gomarteli
Professor, Faculty of Engineering Economics, Media Technologies, and Social Sciences, Georgian Technical University

Nino Zaalishvili
Professor, Faculty of Engineering Economics, Media Technologies, and Social Sciences, Georgian Technical University

Abstract

Migration processes have accompanied the formation, development, and existence of humanity, with their origins rooted in ancient history. The ancient "Oikoumene" (inhabited world) and, along with it, the South Caucasus region, were early subjected to cultural and ethnocultural influences, which contributed to the formation of a unique and distinct ethnocultural landscape in the region. The study and analysis of the emigration-related epistolary heritage preserved in Georgia's archival collections and the Museum of Emigration provide a clear insight into the spiritual value orientations of Georgian emigration. For them, the primary focus is the connection to national culture and its traditions, which, in turn, is a crucial factor in preserving historical memory. Ethnic traditions, together with the native language, serve as the driving forces that shape and define Georgian national identity and the self-awareness of Georgians. A vivid testimony to this is the spiritual heritage of the distinguished representatives of Georgian emigration.

Keywords: Emigration, Markers, National Identity, Diaspora, Historical Memory

.